ახალგაზრდობაში მართლაც არ გაუმართლა სალვატორს.

20 წლის ასაკში, გონებისდაკარგვამდე იყო შეპყრობილი მხოლოდ საკუთარი თავით, რომელსაც უკვე ვეღარ იტანდა. სხვები როგორღა დაეხმარებოდნენ მას, ვისაც არაფრის მიღება არ სურდა? ხალხს მხოლოდ მაშინ ურეკავდა, როცა დახმარება სჭირდებოდა და არ სიამოვნებდა, საპასუხო თანადგომასაც თუ მოითხოვდნენ. მისი შესაძლებლობები საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენდა, რის გამოც სასაცილო მდგომარეობაში ვარდებოდა.

საკუთარი თავი დაარწმუნა, ამბიციური ვარო, როცა, სინამდვილეში, უსაზღვროდ ამპარატავანი ბრძანდებოდა. ადგა და სოციალური წარმატების მისაღწევად დიდ რბოლაში ჩაება, რამაც კარიკატურული სახე მიიღო: ხშირად ხედავდნენ წვეულებებზე, ამა ქვეყნის დიდებულთა ცოლებთან არშიყისას. ერთმა მათგანმა მის სადავო ღირებულების ხიბლს ვერ გაუძლო და ბოლოს, როცა სალვატორმა გააცნობიერა, რა როლშიც აღმოჩნდა, მიხვდა, რომ ეს ყველაფერი საოცნებო თანამდებობად არ ღირდა. ღირსება უცხო არ იყო მისთვის: ის იტანჯებოდა.

მის ერთ შორეულ მდიდარ ნათესავს მემკვიდრე არ ჰყავდა. სალვატორმა გულისამრევ ვიზიტებს მოუხშირა. ბიძა დიდად გამჭრიახი არ გახლდათ და ეგონა, თავაზიანი ყმაწვილიაო. ჰოდა, მას მდივნობაც შესთავაზა. ეს მიამიტი უმალვე ჩააფრინდა ამ ადგილს, რომელიც დიდად არ ბრწყინავდა – იმ რწმენით, ერთადერთი მემკვიდრე ვიქნებიო.

მთელი წლის განმავლობაში სალვატორი მომაბეზრებელ საქმეებს ასრულებდა და მხოლოდ ფულზე ფიქრობდა. ეს ყველაფერი კი იმდენად იყო დასანანი, რამდენადაც ბიჭს სულაც არ აინტერესებდა გამორჩენა. მატერიალური კეთილდღეობისკენ ლტოლვა მხოლოდ მის კომპლექსებს გამოხატავდა: დაიჯერა, ხალხი ვერ მიმიღებს, თუ საკმაო ქონებას არ დავაგროვებო.

უნდოდა, სხვებს მიეღოთ. რომ გეკითხათ, ამაში რას გულისხმობო, პასუხის გაცემა გაუჭირებოდა. ვერც კი წარმოედგინა ის ანგარიშგასაწევი კაცი, როგორად გახდომაც სურდა.

შეფს ძალიან უყვარდა. როგორ უცნაურადაც არ უნდა მოსჩვენებოდა, მას ამ თავგასული ბიჭის დაფასება შეეძლო. როცა მლიქვნელური პირფერობა ავიწყდებოდა, სალვატორის სახეს ხისტი სისუფთავის ნიშნები ემჩნეოდა, რაც ბევრს ამბობდა იმაზე, თუ ვინ იყო ის სინამდვილეში – დაკარგული ბავშვი, იმ ეპოქაში გზააბნეული პაჟი, რომელიც რაინდულ ხანას ნამდვილად აღარ წარმოადგენდა.

ბიძია ნაზერმა მას ერთი გოგო გააცნო. ირენი 19 წლის იყო, იმდენად ნატიფი, რამდენადაც მომხიბვლელი. სალვატორი ვერ მიხვდა, რაღა მაინცდამაინც ეს გოგო აურჩია ნაზერმა, მაგრამ თუ ბიძამ ასეთი არჩევანი გააკეთა, ხომ შეიძლებოდა, ბევრად უარესიც მომხდარიყო? იმასაც კეთილგანწყობით შეხვდა, რომ შეფი მის პირად ცხოვრებაში ჩაერია და განა ამით არ მიანიშნა, ვაჟიშვილად გთვლიო? ჰოდა, მდივანიც მეტისმეტად თავს ევლებოდა ირენს.

ეს უკანასკნელი თავშეკავებით ისმენდა კომპლიმენტებს. სალვატორს მოსწონდა ამგვარი წინდახედულება: ცოტა არ იყოს, გულიც კი შეუვარდა ამ გოგოზე. თვითონ რომ აერჩია, იმასაც ხომ შეძლებდა, რომ გულწრფელად ჰყვარებოდა?

ამ დღიდან ირენი გვერდიდან არ მოსცილებია. ნაზერს სურდა, გოგოს მანქანის მართვა ესწავლა და მასწავლებლად სალვატორი დაუნიშნა. ისინი საათობით ისხდნენ ხოლმე იმ "იაგუარში", რომლის მფლობელიც ბიჭის ბიძა ბრძანდებოდა. ირენს მართვის ნიჭი საერთოდ არ აღმოაჩნდა. "ნეტა რად უნდა ნაზერს ასე ძალიან, რომ მართვის მოწმობა მქონდეს?" – ამბობდა ის.

ბიჭი გულში პასუხობდა ამ შეკითხვას: "ბებერი მელა უეჭველად იმას ფიქრობს, რომ ყველაზე ბუნებრივი გზა გამონახა ჩვენს დასაახლოებლად".

ერთ დღეს კი, როცა მანქანის უკან სვლას ასწავლიდა, გოგოს ნიკაპში სწვდა და ტუჩებში აკოცა. გონზე ვერ მოვიდა იმ სიამოვნების შემდეგ, რაც ამ დროს განიცადა.

ირენი გაოცებისგან მხოლოდ მცირე ხანს - ოციოდე წამს დამორჩილდა. მერე შიშნარევი მზერა შეავლო, მანქანიდან გადმოვიდა და გაუჩინარდა.

"თავს იდებს", - თქვა გამხიარულებულმა სალვატორმა და "იაგუარი" ავტოფარეხისკენ გააქროლა.

* * *

იმავე საღამოს ბიძა და ყმაწვილკაცი განმარტოებით ვახშმობდნენ.

- რაკი მარტონი ვართ, მინდა ირენზე დაგელაპარაკო.
- ამას ველოდი კიდეც, - სალვატორმა გაუღიმა.
- რას ფიქრობ ამ გოგოზე?
- შესანიშნავი, იდეალური გოგონაა.
- ბედნიერი ვარ, რომ ჩემსავით ფიქრობ.
- ეჭვი გეპარებოდათ?
- არა, რას ამბობ. მეჩვენება, რომ ერთმანეთს მშვენივრად უგებთ.
- თქვენ ხომ ვერაფერს გამოგაპარებთ კაცი.
- კეთილი. მიხარია, რომ ეს გოგო მოგწონს. წარმოგიდგენია – ორსულად არის!
- რა?
- ჰო, ჩემო ბიჭუნა. 58 წლის ასაკშიც შეგვიძლია ცუღლუტობა.

სალვატორმა გულისრევა შეიკავა, სანამ იტყოდა:
- და რას აპირებთ?
- შენარჩუნებას, აღიარებას. არასდროს მიფიქრია, რომ შვილი მეყოლებოდა, მაგრამ ახლა, როცა ასე მოხდა, კმაყოფილიც კი ვარ.
- ირენს ცოლად მოიყვანთ?
- მაინც არა. მასზე ორმოცი წლით უფროსი ვარ და ვიცი, რა არის სასაცილო. წარმომიდგენია როგორი სახეები ექნებათ მერიის თანამშრომლებს, ჩვენი საბუთების შევსებას რომ შეუდგებიან.
სალვატორმა საკუთარ თავს ჰკითხა, მეან-გინეკოლოგების სახეებსაც რატომ არ წარმოიდგენს ნაზერიო.
- შენი თავშეკავების იმედი მაქვს. ირენი ხშირად აღარ გამოჩნდება მომდევნო თვეების განმავლობაში.
- და მართვის გაკვეთილები?
- ალბათ შეწყდება. წარმოიდგინე ხალხს ბავშვის მამა შენ რომ ეგონო!
ბიძა სიცილით გადაბჟირდა, თითქოს ეს ვარაუდი საშინლად თავშესაქცევი ყოფილიყო, ბიჭმა კი გაიფიქრა, რომ ერთადერთი დასაშვები ჰიპოთეზა სწორედ ეს იქნებოდა.

* * *
გოგოს ორსულობამ სალვატორის სიძულვილი გაზარდა.
სიძულვილი ნაზერის მიმართ, ვისაც გარყვნილად თვლიდა. ის აზრი, რომ ამ ბებერმა მძორმა ახალგაზრდა სხეული გაანაყოფიერა, ცუდად ხდიდა და ფაქტი, რომ კაცი ამით ამაყობდა, გულს უფრო მეტად ურევდა.
ირენის მიმართ სიძულვილი, ვისაც სულელად თვლიდა - მიაჩნდა, რომ სრული უფლება ჰქონდა, ეთქვა, მიღალატაო. უფრო მეტიც, ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ბიძამისს დაუწვა, უდავოდ, ფული უნდა ყოფილიყო.
უკიდურესი სიძულვილი იმ ბავშვის მიმართ, რომელიც დღე-დღეზე დაიბადებოდა - ამ ამაზრზენი სიყვარულის ნაყოფს მისი ადგილი უნდა დაეკავებინა: მემკვიდრეობას ხომ, საბოლოოდ, სწორედ ის მიიღებდა.
“მე კიდე გოშიად ვყავდი მთელ წელზე მეტი და რა შემრჩა”.
წამითაც არ განათებია გონება, რომ მიმხვდარიყო: თუ, ამ სიტუაციაში, ირენი ზიზღს იმსახურებდა, არც თვითონ იყო მასზე ნაკლები და ბავშვის მიმართ სიძულვილიც გამორჩეულ უსამართლობას წარმოადგენდა.
სალვატორმა სრული გასაქანი მისცა საკუთარ სიძულვილს. წამითაც არ შეპარვია ეჭვი, რომ სცდებოდა.

* * *
როგორც კი ირენმა იმშობიარა, ყმაწვილმაც თავისი საქმე აღასრულა.
რობერტ ვან გულიკის რომანების თავგადაკლულმა მკითხველმა გრძელი და წვრილი ლურსმანი იშოვა. არავის დაუნახავს, როგორ შევიდა ბავშვის ოთახში, ვისაც იმ დროს ღრმა ძილით ეძინა. ჩაქუჩის რამდენიმე დარტყმით, მან ბოლომდე ჩაარჭო ლურსმანი ჩვილის თავის ქალაში, რომელმაც საშინელი ჩხავილი მორთო. სალვატორი გაუჩინარდა.
ახალშობილის ტირილმა საბოლოოდ მოიყვანა გონზე: თავისი საქციელის მთელი საშინელება დაინახა. “მოვკალი. ყველაზე უმანკო სიცოცხლე მოვსპე ფულის გამო”.
მკვლელის თავში ელვის უსწრაფესად ხდებოდა ყველაფერი: “ან ამ წამსვე თავი უნდა მოვიკლა, ან რაც შეიძლება, შორს უნდა წავიდე და სხვა ვინმე გავხდე”.
რადგან კიდევ ერთი ადამიანის მოკვლა აღარ შეეძლო, მეორე გამოსავალი დაუფიქრებლად აირჩია. აეროპორტში, პირველივე თვითმფრინავში ავიდა, რომელიც ჰონგკონგში მიფრინავდა.
თვითონაც არ იცოდა, რატომ მოეჩვენა ეს ქალაქი იდეალურ ადგილად. რასაკვირველია, მას ნამდვილად ჰქონდა უპირატესობები: ჰონგკონგი საკმარისად ჩინური იყო იმისთვის, ვინც ეს-ესაა რობერ ვან გულიკის პერსონაჟივით ჩაიდინა მკვლელობა და საკმარისად დასავლური - იმისთვის, ვისაც არასდროს დაუტოვებია ევროპა - და, რაც მთავარია, ძალიან შორს იყო.
სალვატორს უნდოდა, რომ ყველაფერს გასცლოდა, რასაც წარსულში წარმოადგენდა. ახლა უკვე სიმდაბლედ ეჩვენებოდა არა მხოლოდ საკუთარი დანაშაული, არამედ ის განცდებიც, რომლებიც მანამდე აწუხებდა.
“აღარ მინდა რაიმე დამრჩეს იმისგან, რაც აქამდე ვიყავი”.

* * *
ეს ყველაფერი მანამდე მოხდა, სანამ ჰონგკონგი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შეუერთდებოდა.
ნამდვილად იდეალური ადგილი იყო ცხოვრების თავიდან დასაწყებად. ჰონგკონგში შეიძლებოდა, სამშობლო სულაც არ გქონოდა. იქ ისეთი ნარევი მოსახლეობა ცხოვრობდა, რომ უცოდველობით შენიღბული კრიმინალური წარსული სრულიად შეუმჩნეველი დარჩებოდა. ამ განურჩევლობის წყალობით, ახალმოსული საკუთარ დანაშაულზე არასდროს ფიქრობდა.
იაპონელი მილიარდერის მსგავსად, რომლის სახელიც შეფუთვას ნიშნავდა, სალვატორმა პატარა ფარდული დადგა ტროტუარზე, სადაც ქოლგების გაყიდვა დაიწყო. თავსხმა წვიმის შემთხვევაში, გამვლელები ისეთი იაფი პროდუქციით უნდა მოემარაგებინა, რომ არც კი დაფიქრებულიყვნენ, შეეძინათ თუ არა შემოთავაზებული ნივთი.
უამინდობის წყალობით, საქმე წარმოუდგენლად აყვავდა, ხოლო წარმატებამ ყველაზე ფანტასტიკურ მოლოდინსაც გადააჭარბა.

ყმაწვილკაცმა “ცუცუმის” მოდელირება შეწყვიტა და დიდი მაღაზიების ქსელის დაარსება გონებაშიც არ გაუვლია. დივერსიფიკაციის მტერმა გადაწყვიტა, რომ საკუთარი ცოდვების გამოსყიდვის საშუალებაზე – ქოლგაზე – კონცენტრირებულიყო.

ჰონგკონგი ისევ საკმაოდ ბრიტანული იყო იმისთვის, რომ ზემოთ ნახსენები ნივთისთვის იქ საკმარისი პატივი მიეგოთ. ინგლისელი ჯენტლმენი ფეხსაც არ გაადგამდა გარეთ ამ ელეგანტური აქსესუარის გარეშე. რა თქმა უნდა, თუ წვიმა წამოვიდოდა, იგი არასდროს აღმოჩნდებოდა იმდენად ვულგარული, რომ ქოლგა გაეშალა – აი, რატომ ეცვა მას საწვიმარი ლაბადა – მაგრამ ნივთი ამტკიცებდა, რომ ეს დამოკიდებულება ნებაყოფლობით არჩევანს წარმოადგენდა.

ჰონგკონგი საკმარისად ჩინური იყო, რათა ხალხი გონივრულად მოქცეულიყო: იქ ქოლგებს შლიდნენ ხოლმე. ამ ნივთის სამომავლო სრულყოფისთვის ეს ქალაქი იდეალურ ადგილს წარმოადგენდა: აღნიშნულ ეპოქაში, დედამიწის მხოლოდ ამ ერთადერთ ნაგლეჯზე ითვლებოდა ერთსა და იმავე დროს საჭირო ნივთად და ელეგანტურობის ნიშნად – ქოლგა-პარადოქსი.

კონტინენტურ ევროპაში ეს ნივთი დაწყევლილი იყო. ღიად და გამოსაჩენად მისი ტარება თავზე ხელის აღებას ნიშნავდა. თავსხმა წვიმაში უფლება გქონდა, სხვა თუ არაფერი, საწვიმარი ლაბადა გამოგეყენებინა. აკრძალვის დარღვევა და გაშლილი ქოლგით ქუჩაში სიარული კი ისეთ ცინიკურ მეტსახელებს იმსახურებდა, რომელთა შორის ყველაზე ნაკლებად გესლიანი “მერი პოპინსი” იყო. თითქმის არ გაგკიცხავდნენ, თუ სადმე წვნიანში ჩამბალივით სველ-სველი გამოცხადდებოდი ან სულაც სახლიდან ფეხს არ გაადგამდი.

ჰონგკონგში ევროპის კონტინენტური ნაწილიდან ჩამოსულებიც მრავლად იყვნენ. სალვატორმა ჩაიფიქრა, თუ ქოლგასთან მიმართებაში მათი წინააღმდეგობის გადალახვას შევძლებ, მაშინ ამას მთელს მსოფლიოშიც მოვახერხებო.

როცა მენტალურ წინაღობას აწყდები, თავისთავად გიჩნდება იმის მიზეზი, რომ მას სახელი გადაარქვა. ახალგაზრდა კაციც უკვე ქოლგებს კი აღარ ყიდდა, არამედ სალვატორებს: ეს მისი სავაჭრო საქონელი გახდა.

რა იყო აქ აბსურდული: ის, რაც წვიმის დროს თქვენს ჯანმრთელობას, ტანსაცმელს, ვარცხნილობას, დოკუმენტებს და ა.შ. გადაარჩენს, ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ სალვატორი ერქვას.* ესეც ხომ ხსნაა.

ეს სალვატორის სულის ხსნა იყო: მოთხოვნილება გაუჩნდა, საქმეში ბოლომდე ჩაფლულიყო, იმ ჯარისკაცის მსგავსად, არმიისთვის თავგანწირვა თავადვე რომ სჭირდება. ეჰ, რამდენი ადამიანი იქნებოდა ცუდად საკუთარი თავის გასხვისების გარეშე!

საქმე კარგად შემობრუნდა: პატიოსნების ერთგვარი სახეა, როცა თავშესაფარს ყიდი. მისი ბიზნესი აყვავდა: სალვატორებს დახვეწილი ფერები ჰქონდა და წვიმის პირველი წვეთებისთანავე, ციდან დანახული ჰონგკონგი გაზაფხულს ემსგავსებოდა, რომელშიც ათასობით სინთეტიკური გვირგვინი გადაშლილიყო. სალვატორს შესანიშნავი იდეა გაუჩნდა – ამ ფენომენალურ ყვავილობას კოშკის სიმაღლიდან სურათი გადაუღო: ეს დიდებული ფოტო კი გიგანტური რეკლამისთვის გამოადგა ჯერ სინგაპურში, შემდეგ – ტოკიოში, ლოს ანჯელესში, ნიუ იორკში – და სადაც ნიუ იორკს ახსენებენ, იქ პარიზსაც მოიხსენიებენ ხოლმე, რომელიც ახალგაზრდა კაცმა ორი წლის წინ, ბოლომდე განადგურებულმა დატოვა.

სალვატორის ტრიუმფმა მთელი პლანეტა მოიცვა. ის, ვინც ერთი ქედმაღალი ბიჭი იყო, სანიმუშო ბოსი გახდა: მხოლოდ თანამშრომლების მცირე ნაწილს უსმენდა, თუმცა ყველა პატივს სცემდა. ადამიანის არსებობის აზრიც აღმოაჩინა, რაც მანამდე არ იცოდა. მისი ფირმა სანიმუშო მოდელს წარმოადგენდა, როგორც მისი ფინანსური, ასევე სოციალური სიჯანსაღისთვის.

მომხიბლავი და უკვე მდიდარი სალვატორის თავზე წვიმდა და წვიმდა.

* * *

მომეტებულად წვიმდა. იმ წელს მხოლოდ ჭარბი ნალექი კი არ მოვიდა, რომელმაც მოგება გაუზარდა, არამედ ცვიოდნენ და ცვიოდნენ ქალები მის მკლავებში.

თავი განზე არ დაუჭერია. მოსწონდა, რომ მოსწონდათ. ლამაზი ქალისთვის უარის თქმა არ შეეძლო. ისინიც თავზე ევლებოდნენ. ყველა მათგანი თავისი ქოლგის პატარა კუთხეს სთავაზობდა, რაც მალევე სალვატორის პატარა კუთხედ გადაიქცეოდა ხოლმე. ამ სასიამოვნო მუსონმა მთელი ათი წელი გააბედნიერა.

წვიმების სეზონი დამთავრდა: მისი ბიზნესი ისევ ყვაოდა, მაგრამ სალვატორმა ერთი აუტანლად ლამაზი ჩინელი ქალი გაიცნო. ქალს არ უყვარდა. პირველად მოხდა, რომ კაცისგან არაფერი უნდოდათ. გაგიჟდა და დაიჯერა, რომ თავდავიწყებით იყო შეყვარებული. ქალს ცოლობა სთხოვა. ის კი იმდენად ბოროტი აღმოჩნდა, რომ დათანხმდა.

მან ბოლომდე გაიზიარა ის უცნაური ხვედრი, რომელიც მასთან თანაცხოვრებაში მდგომარეობს, ვისაც არ უყვარხარ. ალბათ წინა ათი წლის უამრავმა სასიყვარულო თავგადასავალმა მოთხოვნილება გაუჩინა, რომ ერთხელ მაინც დაემცირებინათ. ასეც ხდებოდა.

სალვატორი იმ ტიპის კაცი იყო, ვინც ჭკუას მანამდე ვერ სწავლობს, სანამ მრავალჯერ არ შეცდება. ეს ქორწინება მართლაც დიდი შეცდომა იყო, რამაც საბოლოოდ მოარჯულა.

საბედნიეროდ, ბავშვი არ ჰყოლია მასთან, ვისაც არ უყვარდა. როცა ექვსწლიანი ცოლქმრული ტანჯვა-წამების შემდეგ, ქალს ჰკითხა, ცოლად რატომ გამომყევიო, იმან დაუფიქრებლად უპასუხა:

- სიძულვილის გამო.

განქორწინდა. სწორედ ამის დრო იყო.

* * *

მოპოვებული თავისუფლების წყალობით, მიხვდა, რომ თვრამეტი წელი - თითქმის ცხოვრების ნახევარი - ისე გაატარა, პარიზი არ ენახა. უცებ იქ დაბრუნების დაუძლეველი სურვილი იგრძნო.

ეს 1997 წელს მოხდა. რამდენიმე თვეში ჰონგკონგი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შეუერთდა. ამ დათმობის თაობაზე სალვატორს განსაკუთრებული არც არაფერი უფიქრია. ჰონგკონგი მისი წარმატების ამოსავალი წერტილი იყო, მაგრამ აგრეთვე მისი წარუმატებელი ქორწინების ქალაქიც: ადგა და გაემგზავრა. იმ უკიდურესი ფუფუნებით ისარგებლა, რომლის უფლებასაც სიმდიდრე იძლევა: თან არაფერი წაუღია.

თვითმფრინავში საკუთარ თავს ეკითხებოდა, რატომ მეჩვენება პარიზი ასეთი სასურველიო. კოლეტის ფრაზა გაახსენდა: “პარიზი ერთადერთი ქალაქია მსოფლიოში, სადაც აუცილებელი არ არის, ბედნიერი იყო!” ჰო, აი, ეს უნდა ყოფილიყო.

რუასიში, როცა ტაქსის მძღოლმა ჰკითხა, სად მიგაბრძანოთო, სალვატორმა დაუფიქრებლად სთხოვა, ლუვრისკენ წადიო. იქიდან ფეხით გაემართა – ალალბედზე. შენობების ადგილმდებარეობა დავიწყებოდა. ყველაფერი აოცებდა: სენა, ხიდები, ის ძველი ნაგებობები, რომელთა სახელებიც თანდათან ახსენდებოდა. ენა ერთდერთი იყო, რაც სჯეროდა, რომ ახსოვდა.

მიხვდა, რატომ ამბობდნენ ხოლმე, ეს მხიარული პარიზიო: აქ ისეთი სიმსუბუქე დახვდა, რაც სხვაგან არსად ენახა. ცხოვრებაში არასდროს ყოფილა მსგავსად - როგორც თევზი წყალში.

სასტუმროში დაბინავდა და თავისი ფირმის ფრანგული ფილიალის ხალხს დაუკავშირდა. ბოსის იქ ყოფნამ ყველა გააოგნა. მათ უთხრა: “ისე მოიქეცით, თითქოს აქ არ ვიყო”. მიუხედავად ამისა, მაინც იწვევდნენ გაუთავებელ მიღებებზე, გალა-კონცერტებზე, გამოფენებზე, სადილებზე, წვეულებებზე. მთელი მსოფლიო ხომ მშვენივრად არის მოწყობილი, როცა საქმე მათ გამოკვებაზე მიდგება, ვისაც არ შია.

სალვატორმა უკანა ჯიბეში გადაინახა ეს შემოთავაზებები, ღრმა დეპრესიის დღეებისთვის.

“ოცი წელი ვიცხოვრე ამ ქალაქში. ვხვდები, რომ ეს დიდი ხნის წინ იყო, მაგრამ ნუთუ ფირმის დახმარება მჭირდება იმისთვის, რომ თავი სახლში ვიგრძნო?”

მოგზაურობა მაინც ბოლომდე მიიყვანა. ბავშვობის სახლი მინიატურული მოეჩვენა. სკოლა დაენგრიათ. ლიცეუმი მოზარდებით იყო გადაჭედილი, რომლებიც უტიფრად ათვალიერებდნენ.

“და მერე?” მერე რა უნდა ექნა, აღარ იცოდა. ახსოვდა, რომ მეხსიერება დაებინდა: უმჯობესი იქნებოდა, 20 წლის ასაკი არ გაეხსენებინა.

საბოლოო ჯამში, სულაც არ იყო დარწმუნებული, რომ ამ ქვეყანასთან საკმარისი მოგონებები აკავშირებდა, რათა საკუთარი იდენტობა მოეხელთებინა. “და მაინც, თუ აქ არა გაქვს იდენტობა, სხვაგან სად შეიძლება იპოვო?”

იმავე საღამოს, მძიმე კაეშნის ტყვეობაში მყოფმა იგრძნო, რომ მარტო ყოფნა აღარ შეეძლო. მიწვევების სიას გადახედა და ნახა: ბ. დე მ.-ებთან წვეულებაზე ეპატიჟებოდნენ.

როცა ტაქსიმ იქ მიიყვანა, ისევ სირცხვილმა შემოუტია: “აზრზე ხარ? ჩამოსვლის მეორე დღეა და უკვე კომფორტს ეძებ, ამ ვითომ მაცდურ ელიტარულ ამბებში. მაინცდამაინც რაღაცას უნდა წარმოადგენდე? და ისიც გაიხსენე, ამ შემოთავაზებას როგორ ქედმაღლურად უსმენდი ტელეფონზე. რა სუსტი ხარ!”

ამაზე ადვილი არაფერი იყო. შეიძლება ხმამაღლა არ ეთქვა, მაგრამ უთუოდ უნდა გასჩენოდა ეჭვი, რომ თავი იმ აჩრდილებით ჰქონდა გამოტენილი, რომლებიც მშობლიური ქვეყნის სურნელს სცნობდნენ: ისინი მხოლოდ გამოფხიზლებას ითხოვდნენ. ჰო, არსებობს შემთხვევები, როცა საკუთარ თავთან მარტო დარჩენა იმდენად მავნეა, რომ ნებისმიერი რამ უნდა გერჩიოს, თუნდაც წვეულება ბ. დე მ.-ებთან.

ბ. დე მ.-ები თავიდან ცივად შეხვდნენ, როგორც ასეთ ხალხს სჩვევია მათ მიმართ, ვინც არასდროს თვალით არ უნახავს. როგორც კი სალვატორმა საკუთარი სახელი ახსენა, მასპინძლებს სახეები გაუბრწყინდათ: “ძვირფას მეგობარს” მაშინვე შამპანურის ფუჟერი მიაწოდეს და “წმიდათაწმიდაშიც” შეუძღვნენ. მანაც არ დააყოვნა და იმათ, კუდში რომ დასდევდნენ, ხელიდან გამოეცალა.

ბ. დე მ.-ების სასახლეს სკანდალური სიდიდის ბაღი ჰქონდა. სალვატორი სწორედ იქ სეირნობდა და ამ უბანში კვადრატული მეტრის ფასზე ფიქრობდა, როცა ხილვა გამოეცხადა.

* * *

გოგონას გვამი პირდაპირ ბალახზე ეგდო. ისეთი სიბნელე სუფევდა, ჩამოწოლილ წყვდიადში ვერაფრით შენიშნავდა, რომ არა მისი სუდარასავით თეთრი კაბა.

სალვატორმა მკვდართან ჩაიმუხლა და შეამჩნია: ცოცხალი იყო. რატომ ეგონა მიცვალებული? იმიტომ, რომ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს თავდაყირა ამობრუნებულიყო, სანამ მიწაზე დავარდებოდა.

ცოტა შამპანური დაალევინა. გოგომ თვალები გაახილა და ცნობისმოყვარეობით შეხედა.

- გული წაგსვლიათ.

- ხანდახან ისეთი ელვისებური შაკიკი მაქვს, რომ გონებას ვკარგავ.

მას დღესავით ხმა და ღამესავით თვალები ჰქონდა. საოცრად ლამაზი იყო, იმდენად ამაღელვებელი, რომ სალვატორს მაშინვე თავდავიწყებით შეუყვარდა.

გულზე მოეშვა, როცა შეიტყო, რომ ბ. დე მ.-ების ნათესავი არ იყო.

- ორმაგად ობოლი ვარ, რადგან ვინც მიშვილა, ისინიც დაიხოცნენ. თითქოს უბედურება მომაქვს. ბ. დე მ.-ები ნამდვილად გამბედავები არიან, სტუმრად რომ დამპატიჟეს.

ზოე ეს-ესაა მოზარდობის ხანიდან გამოსულიყო. ჩვეულებრივ, სალვატორს პატარა გოგოები არ იზიდავდა. ის კი, 18 წლისა, უკვე ორ მემკვიდრეობას ფლობდა: მისი ნამდვილი მშობლები ისეთივე მდიდრები ყოფილან, როგორც ისინი, ვინც იშვილა.

“ოცი წლით უფროსი ვარ მასზე”, - ფიქრობდა აფორიაქებული სალვატორი, რადგან შინაგანი ხმა ეუბნებოდა: “ოცი წელი არაფერია. გაიხსენე ორჯერ უფრო დიდი ასაკობრივი სხვაობა... ვისა და ვის შორის?”

კაცის გონებამ უმალვე მონახა გამოსავალი და ზოესთან დაბრუნდა. მას ის აღარასდროს მიუტოვებია.

* * *

ზოე ცოტას ლაპარაკობდა. როცა ყველაზე ჩვეულებრივ კითხვებს უსვამდნენ, დიდხანს ფიქრობდა, სანამ უპასუხებდა. მას ყველასგან გამორჩეული ხიბლი ჰქონდა.

ვიღაც-ვიღაცები ამას სისულელედ თვლიდნენ. ზოგიერთი მეტიჩარა დიდ მახვილგონიერებად მიიჩნევდა, თუ ზოეს კითხვების დასმით გამოსცდიდა. მისი შენელებული რეაქციები ხომ საყოველთაოდ ცნობილი იყო. მაგალითად:

- დღეს კარგი ამინდია?

გოგო ვერ აცნობიერებდა, რომ სხვები მხოლოდ ეთამაშებოდნენ: ცაზე დაკვირვებას იწყებდა, იქაურობას ჯერ გულდასმით მოათვალიერებდა, მერე შუბლს შეკრავდა, ხანდახან თვალებსაც კი ხუჭავდა, რათა უკეთ ეგრძნო, როგორ ეალერსებოდა ლოყებზე ნელი სიო და ამ დაკვირვების შემდეგ, რომელიც შეიძლება ათ წუთზე მეტსაც კი გაგრძელებულიყო, აზრის გამოთქმას გაბედავდა:

- "კარგი ამინდი" ალბათ გაზვიადებული ნათქვამი იქნება. ღრუბლები თითქოს იმუქრებიან და ჰაერშიც სიცივე იგრძნობა.

ეს სულაც არ იყო სულელური პასუხი. სამწუხაროდ, მეტიჩრებისთვის ისიც საკმარისი იყო, დაცინვას ვერ მიხვდაო, რომ გოგოსთვის იდიოტის იარლიყი მიეწებებინათ.

სალვატორი ღვთაებრივად მიიჩნევდა ასეთი დიდებული სახისა და უცნაური საქციელის შერწყმას. მას უყვარდა და სხვების აზრს ყურადღებას არ აქცევდა.

ზოეს არც თაყვანისმცემლები აკლდა, რადგან ძალიან მდიდარი იყო. თუმცა ისინი იმ ტიპის კაცებს მიეკუთვნებოდნენ, რომლებსაც ზედმეტად აინტერესებთ, "რას იტყვის ხალხი" და მაშინვე თავს ანებებდნენ, როგორც კი დაინახავდნენ, თუ რამდენად "გაურკვეველ" ვინმეს გადაყროდნენ. ასეთი დიდი აღმოჩნდებოდა ხოლმე მათი შიში, ამ გამოშტერებულის გამო რეპუტაცია არ შეგველახოსო.

უფრო სერიოზული შემთხვევაც მოხდა: მაღალმა საზოგადოებამ გადაწყვიტა, რომ გოგონა "ვულგარულ" სუნამოებს ხმარობდა. სინამდვილეში, ზოეს ყვავილებზე მეტად არაფერი უყვარდა. აღმოსავლურ სავაჭრო ფარდულებში, ყვავილების ესენციების თაროების სიახლოვეს ჭკუას კარგავდა: თითოეულ ფლაკონს ყნოსავდა, თვალებს ხუჭავდა და მათი სურნელებით სრულ ექსტაზამდე თვრებოდა.

ბოლოს გარდენიას ზეთი აირჩია, რომლის უკიდურესი სიფაქიზეც მუდამ ხიბლავდა. ეს სუნი, ყვავილის დასრესილი ფურცლების სურნელივით რომ დაჰყვებოდა, ქალბატონებისა და ქალიშვილების დახვეწილ სუნამოებზე მძაფრად იგრძნობოდა.

ერთ საღამოს სალვატორმა შენიშნა: მისი პატარა განმარტოებულიყო და სადაცაა, ტირილს დაიწყებდა. გოგომ აღიარა, რომ მადამ ბ. დე მ.-მ (თუ მ. დე ბ. – მ) კეთილი განზრახვით ურჩია:

- ჩემო ძვირფასო, თავს უფლებას ვაძლევ, გითხრა, რადგან დედაშენის ხნის ვარ: ქათამივით და უფრო უარესი, უკანასკნელი ბოზივით ყარხარ. აღარ იყიდო სუნამოები ბაზრობაზე.

სალვატორი, რომელსაც ნახევარი ცხოვრება ჰონგკონგში გაეტარებინა, თვლიდა, რომ ზოეს საშინლად კარგი სუნი ჰქონდა. ამ ანჩხლი დედაკაცის სიტყვებმა კი საშინლად გააბრაზა:

- უნდა გააგრძელო ამ სუნამოს დასხმა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მომაჯადოებელი სუნი აქვს და კიდევ, იმის გამო, რომ საშუალებას გაძლევს, დროის დაკარგვის გარეშე განასხვავო ჩვენი მეგობრები იმათგან, ვინც ჩვენი მეგობრები არ არიან.

- ჩვენი მეგობრები? გინდათ თქვათ: ჩემი მეგობრები.

- ჩვენი მეგობრები! არ შემიძლია მათი ატანა, ვისაც არ უყვარხარ.

* * *

გარდენიას ზეთის კრიტერიუმი მეტად ქმედითი აღმოჩნდა: ზოე და სალვატორი მალევე შერჩნენ ერთმანეთს, სრულიად ეულნი და ცხოვრებით აღფრთოვანებულნი. ერთიც და მეორეც საკმარისად თავაზიანი იყო იმისთვის, რომ სამყარო თავად არ მიეტოვებინა: საბედნიეროდ, სამყარომ ზიზღით შეიკუმშა ნესტოები, რათა მათი ბედნიერების სურნელი არ ეყნოსა. არცერთს აღარსად ეპატიჟებოდნენ, რამაც მათი სიყვარული კიდევ უფრო გაზარდა.

ზოემ მთელი თავისი სურნელი დააფრქვია. თმების გაშლა ისწავლა, რაც მართლაც შესანიშნავი ჰქონდა:

- ყოველთვის გრძელთმიანი ვიყავი, ახლადდაბადებულიც კი. უთმო არასდროს ვყოფილვარ.

სალვატორს სურათები აჩვენა: ეს თმიანი ახალშობილი მას რაღაცას თუ ვიღაცას აგონებდა, მაგრამ ვის? "ჩვილები ყოველთვის ერთმანეთს ჰგვანან", - ფიქრობდა იგი.

ერთ დღეს გაბედა და ჰკითხა, რითი დაიღუპნენ შენი ნამდვილი მშობლებიო.

- თავი მოიკლეს, როცა 6 თვის ვიყავი.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა კაცმა გვერდით გაიხედა.

- წერილი დამიტოვეს, მაგრამ წაკითხვა ვერ გავბედე, - უთხრა გოგომ.

- გასაგებია.

ისინი კი, ვინც ზოე იშვილა, ავტოკატასტროფაში დაღუპულან, ორი წლის წინ. სალვატორმა ჩათვალა, რომ ეს გოგო უიღბლო იყო.

ყველაზე დიდ საშინელებას მაინც შაკიკი წარმოადგენდა, რომელიც ბოლოს უღებდა. საბედნიეროდ, არც ისე ხშირად აწამებდა, მაგრამ როცა ეწყებოდა, გოგო უმალვე ჯოჯოხეთის კარიბჭესთან აღმოჩნდებოდა ხოლმე.

- ასეთ წუთებში მინდა, რომ მოვკვდე – ეუბნებოდა ის, - სიკვდილი სულ ახლოს მეჩვენება და მიუხედავად ამისა, გვერდით ისე ჩამივლის

ხოლმე, თითქოს გადაიფიქრაო.

- ვერცერთმა ექიმმა ვერ შეძლო, შენთვის ემკურნალა?

- ვერცერთმა. იქნებ ბედნიერიც კი ვარ: შეტევები ადრე უფრო ხშირად მქონდა, როცა პატარა ვიყავი.

- სამედიცინო შემოწმება ჩაიტარე?

- არა. რა თქმა უნდა, სიმსივნე არ იქნება. თანდაყოლილი კიბო ხომ არ არსებობს.

სალვატორმა ეს არგუმენტი ცოტა უცნაურად მიიჩნია. დაჟინებით სთხოვდა, სხვა ექიმებთან მიდი, რომლებიც უფრო საფუძვლიანად გამოგიკვლევენო. გოგო მერყეობითა და გაღიზიანებით პასუხობდა.

- იმდენჯერ ვენდე ექიმებს, - ბოლოს ესღა თქვა, – თითოეულ ჯერზე კი სულ ამაოდ. აღარ მინდა, გავბრიყვდე. ახლა აქ შენ ხარ და მე აღარაფერს ველოდები.

“რა თავნებაა!” – გაიფიქრა კაცმა, სანამ ამ სიტყვის ხმარების გამო გააჟრჟოლებდა. ზოეს შემთხვევაში, თავნებობა, უმთავრესად, შაკიკით აიხსნებოდა, რომელიც თავის ქალის შიგნით ყველაფერს უტრიალებდა. მან ისიც კი გაიფიქრა, ალბათ შემთხვევითი არ არის, ყველაზე თავბრუდამხვევ სუნამოებს რომ ირჩევსო.

* * *

სალვატორს უკვირდა, რომ ასე ძალიან უყვარდა. რა თქმა უნდა, გოგოს ყველაფერი ჰქონდა, რათა კაცს თავდავიწყებით შეჰყვარებოდა და მიუხედავად ამისა, ის, რასაც ზოეს მიმართ გრძნობდა, მასზე ბევრად ძლიერი იყო.

ზოგჯერ ვერც კი ბედავდა ეთქვა, როგორ უყვარდა - ეშინოდა, არ შევაშფოთოო. გრძნობდა, რომ გოგო საკუთარი არსების იმ ნაწილით შეჰყვარებოდა, რომელიც, ჩვეულებრივ, სიყვარულს არ სცნობდა და უპირისპირდებოდა კიდეც: თუ ზოე ამ კაცის საუკეთესო მხარესთან ურთიერთობდა, ამავე დროს, რაღაც უცნაური გზით, იმასაც ეხებოდა, თუკი რამ ბნელი, ქაოტური, აშლილი, მძიმე, ყრუ, უსიცოცხლო, ხრწნადი იყო მასში – იმას, რაც სალვატორს ბოროტებასთან ანათესავებდა.

თავბრუსხვევამდე უყვარდა. ბედნიერი იყო, რადგან ბევრ ქალს იცნობდა საიმისოდ, რომ მიმხვდარიყო, რამდენად არ ჰგავდა მათ ზოე. სხვებს ყველაფერი ჰქონდათ – მაგრამ ყველას ჰქონდა რაღაც ისეთი, რაც მეტ-ნაკლებად დიდ სიყვარულს კლავდა და საუკეთესო შემთხვევაში, მათ ეს გაცნობიერებული ჰქონდათ ყველაზე უარეს და ყველაზე ხშირ შემთხვევებში კი, ისინი ამას ვერ აცნობიერებდნენ და არც დამალვით იკლავდნენ თავს, ჰოდა, შეუძლებელი იყო, რეკორდულად მოკლე დროში, კაცს გატაცება სიძულვილად არ შეცვლოდა.

ნუთუ ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ზოე ასეთი ახალგაზრდა იყო? სალვატორი, რომელმაც ნორჩ გოგონებშიც იმდენივე ვულგარულობა აღმოაჩინა, რამდენიც უფროს თაობაში, ამაში დარწმუნებული ვერ იქნებოდა. ეს გოგო ისეთი სუფთა იყო, თან არც უსიამოვნო სუნი ჰქონდა, რომელიც სოციალური დახმარების მუშაკებს ასდით ხოლმე და რაც, ზოგადად, სუფთა ქალებს ახასიათებთ. იგი თავისებური ხიბლით გამოირჩეოდა, თუმცა იმ გამაღიზიანებელი არამდგრადობის გარეშე, რაც მომხიბვლელი ქალიშვილების საწარმოო წუნია. იუმორიც ჰქონდა და მიუხედავად იმისა, რომ სალვატორს თავს არასდროს ახვევდა გაცვეთილ გამოთქმას: “აი, რა ხუმარა ვარ”, კაცს მუდამ განცვიფრება იპყრობდა ხოლმე. გონებამახვილი იყო და მაინც არ ხდებოდა ამაზრზენი: ისეთ ქედმაღლურ გამომეტყველებას არ მიიღებდა, რომლის დროსაც ტუჩები იჭიმება და უზომოდ იბრიცება.

როცა სალვატორი საკუთარ თავს ეკითხებოდა, საიდან მოდის ზოეს ასეთი სრულყოფილებაო, იძულებული ხდებოდა, დაეშვა, რომ მან რაღაც გზა გაიარა –როგორც მოგზაურობისას: თითქოს იმ ადგილას წავიდა, სადაც იმისთ